შაბ თი, 16 ივნისი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 129

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს-კი დაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ავტორებმა ეს სუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრი"-ს ხელის მოსწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპოთ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპოთ: ტფილისშ—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

გულ დამწვარი დედა **თეკლე პეტრეს ასული რცხილაძისა, მარიამ დავითის ასული და ვარლაამ როსტომის ძე ჯაფარიძეები** აუწყებენ ნათესავთა, ამხანაგთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 ივნისს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულ

ვანე დ ვითის ძის რცხილაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი პირველ საათზედ. (1—138—1)

გიგო ზაქარიას ძე და დედა მისი ელისაბედ ნატრაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფას მეუღლისა, ხოლო მეორე—დაუვიწყარ რძლის

სოფიოს

ცხედარს გამოასვენებენ 16 ივნისს, დილის ცხრა საათზე, საკუთარ სახლიდან. (ნაძალადევი, ავჭალის ქუჩა, № 161). (1—141—1)

ბაბილინე ქარცივაძის ასული აბაშიძისა, თამარ, ქეთო და აბაშიძენი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის დაუვიწყარ შვილის, ხოლო დანარჩენების საყვარელ ძმის

კასტე (კლასტონ) აბაშიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 21 ამა ივნისს, ქ. ოზურგეთში ს. ეკადიის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—უ.—1)

ექიმი
ვ. ხ. მუსხელიშვილი
ძიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
განსაკ. ფარ. ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ბებერის ექიმი
ალ. სოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ბებერის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—76)

ახალი წიგნი
წ.-ბ. ბ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
„ამაოხება კახეთისა"
1812 წ.
ა. ფრონელისა.
ფასი ერთი მანეთი
იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ." იმავე ავტორისა. (20—უ.—9)

ღამბაშიძის
სანატორიუმი
ბატარა-ტყეში
ქალ ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების კასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბოლ. ჯომს ექიმ ვ. ღამბაშიძეს. (25—111—15)

იყიდება
ძალიან იაფად
შეშის საწყობი პ. ქურცხალიასი
შეშით და შენობებით, ანდრეევის ქუჩაზედ, დამოუნის პირდაპირ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ იქვე კანტორაში მმართველს ნ. კიკნაძეს. (4—125—4)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება კარგედან მოსიარულე ავადმყოფების.
მიზეიდ აგაკანოვი: 11—12 ს. საშარდე. კანისა და სნფილისი.
ა. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
გ. ბ. ტაკევოზოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
ა. გ. ბეიტისოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
ფ. ბ. კიმონტი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
ბ. ბ. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
ა. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—76)

დილის წარმოდგენა
ძმ ნიკიტინის ცირკში.
კვირას, 17 ივნისს, ქართულ-დრამატიულ დასის არტისტების მიერ
ვ. აბაშიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I **ყაჩაღი არსენა**
დრამ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.
II **ხელოვნება თუ კაკარდა**
კომ. 3 მოქ. ალ. ბაქრაძისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ივანიძე, მდივანი, ნეკერიძე, კავთელი; ბ. ბ. ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, ჩარკვიანი, ბეგლარიძე, ბოთლიევი, ბაქრაძე, ლანდი და სხვა.
დასაწყისი სწორედ დიდის 12 საათზე
ბილეთები იყიდება იქვე კასაში. სახაზინო თეატრის ბილეთები გამოდგება ამ წარმოდგენაზე. (2—უ.—1) გამგე **ა. ბაქრაძე.**

ქუთაისში
ექიმი მატიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—30)

ამ მოკლე ხანში გამოვა
ორ-კვირეული ჟურნალი
რიჟრაჟი
ჟურნალში მოთავსებული იქნება: პოპულიარულ სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები, ბელეტრისტიკა, ქრონიკა (შინაური და უცხოეთისა), ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიები სურათებით, ბიბლიოგრაფია და სხვა.
მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მწერლები ახალ-თაობისა.
პირველი ნომერი გამოვა 1-ლ ივლისს. №-რი შეიცავს 100-დე გვერდს და ეღირება 20 კ.
რედაქციის საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10-დან 11½ საათამდე. ფოსტის ადრესიც ესაა. (5—უ—1)

ტფ. ქალაქის თავის
თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 17 ივნისს, 1907 წელს, „ტფილისის სობრანიეს" საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე, დანიშნულია პირველ საარჩევნო უბნის, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილებისაგან, **დამატებითი არჩევნები ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა.** უნდა არჩეულ იქმნას ექვსი ხმოსანი და არა ნაკლებ ხუთის კანდიდატისა.
არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე, ამასთან კენჭის ყრა გასტანს ნაშუადღევის ორ საათამდე. კენჭს უყრიან ყველა იმ კანდიდატებს, რომელთაც ყუთები დაუდგეს ამა წლის 27 მაისს, გარდა იმათი, რომელნიც არ მოისურვებენ ხმოსნობაზე კენჭის ყრას. ყუთებს დაუდგამენ იმათაც, რომელნიც ხმოსნობაზე კენჭის ყრის თანხმობას განაცხადებენ.
იმათ, ვისაც 27 მაისამდე აღებული შესასვლელი ბილეთები დაუკარგავთ, აგრეთვე იმათ, ვისაც ბილეთები სულ არ აუღიათ და საარჩევნო სიებში კი არიან ჩაწერილნი, შეუძლიანთ აიღონ ბილეთები გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ან თვით საარჩევნო კრებაზე არჩევნების დღეს, 17 ივნისს (2—ნ. 1)

ამხ. „ახალშენის" კომისიამ დაადვინა:
პასუხი გასცეს იმ კომისიის სამ წევრს, რომელიც ამ დღეებში ქალაქის საბჭოს დარბაზში აირჩია მაკაროვის ადგილებში ხელის მომწერთა ერთმა ნაწილმა (ვექილობაზე უწერია ხელი 28 კაცს). მონდობილობის ქაღალდში ოთხი მოთხოვნილებაა მოყვანილი: 1. ჩამოერთვას მოქმედების ანგარიში „ახალშენის" კომისიას; 2. მოახდინოს „ახალშენის" კომისიამ საზოგადო ხელმომწერთა კრება, რაც შეიძლება მალე; 3. შეაჩეროს მწევრთაგან ფულის მიღება და 4. არ მოახდინოს კენჭის ყრა სამოსახლოებზე.
თვის მოქმედების ანგარიში დაუყონებლივ წარუდგინა მოგზავნილ კომისიას „ახალშენის" კომისიამ, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო საუცებოდ, თანაც მოიწოდა, რომ რევიზია გაეწია შემოსავალ-გასავალისათვის. საზოგადო კრების მოწვევა „ახალშენის" კომისიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მხოლოდ ეს საზოგადო კრება უნდა შემდგარიყო იმ პირთაგან, რომელთაც მიეცემათ ახლავე სამოსახლო ადგილები. რაიცა შეეხება ფულის მიღების შეჩერებას, „ახალშენის" კომისიამ მოსთხოვა წარმომდგარ კომისიას გარანტია, რომ ამ შეჩერებით რამე მარცხი მოსვლოდა ამხ. „ახალშენს", მათ ეგოთ პასუხი. საკითხი სამოსახლოების დარიგების თუ დაურიგებლობის თავის თავად გადასწყდება, როცა საზოგადო კრება მოხდებაო. (1—ნ.—1)

ტ ევრი სამუშაო
მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.
ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.
კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—38)

ტფილისი, 16 ივნისი.

რუსის „წარჩინებული წოდება" მხნედ მუშაობს განახლებისა და პროგრესის წინააღმდეგ. მისი დღევანდელი მისწრაფება იმდენად რეაქციონურია, რომ თვით ახლანდელი მთავრობაც ვერ აკმაყოფილებს, მთავრობის პროექტებიც სარევოლიუციო მოღვაწეობად აქვს მიჩნეული და, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს შეაჩეროს სამინისტროს „რეფორმატული" მუშაობა.

რუსეთის „წარჩინებული წოდება" ღრმა ძილში იყო განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებამდე; იგი არხეინად გრძნობდა თავს ბიუროკრატიის მფარველობის ქვეშ, რომელიც პირნათლად იცავდა მის უპირატესობათ და ზრუნავდა მის ინტერესებისათვის. მოწინავე და საუკეთესო ნაწილი ამ წოდებისა ძველის ლიბერალიზმით იყო ყოველთვის გატაცებული და ხხნედ ეწეოდა კულტურულ მუშაობას ერობაში, საქალაქო თვითმართველობაში, ლიტერატურაში; ხოლო დიდი უმრავლესობა წოდებისა სრულებით არ ერეოდა საზოგადო მოღვაწეობაში, თუმცა თვითმპყრობელი ბიუროკრატია (ცდილობდა კიდეც მის გამოფხიზლებასა და პროგრესიულ ინტელიგენციის წინააღმდეგ მის გამოყვანას. სწორედ ამიტომ იყო შეცვლილი მე-90 წლებში ადგილობრივი თვითმართველობა: მთავრობამ ისეთი წესდება შექმნა, რომ საკმარისი იყო თავადაზნაურობას ხელი გაენძრია და მთელი ერობა ხელში ჩაუვარდებოდა. მაგრამ მთავრობის მოლოდინი არ გამართლდა: მაღალმა წოდებამ არ მოისურვა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა და გადაკეთებულს ერობაში ისევ პროგრესიული ინტელიგენცია განაგრძობდა თავის კულტურულსა და ოპოზიციონურს მოღვაწეობას. მაგრამ დაჰკრა განმათავისუფლებელ მოძრაობის საათმა და თავად-აზნაურობამაც ყური აცქვიტა; როცა მისი მფარველი ანგელოზი—თვითმპყრობელი ბიუროკრატია—შედრკა და მოძრაობას ზედიზედ რამდენიმე პოზიცია დაუთმო, წარჩინებული წოდება შეშინდა და ამხედრდა. მოკლე ხანში შეერთდა, შეკავშირდა, „მმართველ წრეებთან" მჭიდრო ურთიერთობა დაიჭირა და არსებულ კანონების საშუალებით მალე „საქმეც" გააჩაღა. პირველად ყოვლისა დააარსა ევრედ წოდებული „თავად-აზნაურთა შეერთებული საზოგადოებანი", რომლის სათავეში ცნობილი და მაღალ-წარჩინებული ბიუროკრატები დასაკუპა; მერე ხელი გაანძრია და ერთბაშათ ერობაც დაიპყრო; თან ხელი შეუწყო თანამოაზრე ელემენტებისაგან პოლიტიკურ პარტიების („ჭეშმარიტ რუსთა" და სხვა ამ გვართა) დაარსებას. პლანი გამოირკვა: შეჩერება განმათავისუფლებელ მოძრაობისა და რამდენადაც შეიძლება რუსეთის უკან დაწევა. „ზევით" ამ პლანისთვის მუშაობდა „შეერთებულ თავად-აზნაურთა საზოგადოების მთავარი გამგეობა", „ქვეიდან"-კი ბანს აძლევდნენ ადგილობრივი თვითმართველობა და „თვით ხალხში გაჩენილი ხალხის მიერ შექმნილი პატრიოტული პარტიები". თვითმპყრობელ ბიუროკრატიამ, ამრიგად, მხნე თანაშემწე მოიპოვა, გული გაიმაგრა და მართლაც შეუდგა უკვე დათმობილ პოზიციების დაბრუნებას. ამ კოალიციამ სრული თავისი ყურადღება მიაქცია ძირითად კანონებს და საარჩევნო წესს; მთელი ერთი წელიწადი იბრძოლეს და, ბოლოს, 3 ივნისს გაიმარჯვეს კიდეც: ფეხით გასთელეს „ურღვეველი („незыблемые") ძირითადი კანონები და თავის გემოზე შესცვალეს საარჩევნო კანონი...

ბოლოს და ბოლოს რა გამოვა ამ კოალიციის მთელ კონტრ-რევოლიუციიდან,—ეს სხვა საკითხია და მომავალის საქმეა, მაგრამ დღეს-დღეობით ფაქტია, რომ ბუროი და მოედანი რეაქციის ხელშია. აღსანიშნავია, რომ „წარჩინებული წოდება" სრულებითაც არ კმაყოფილდება უკვე მოპოვებულის გამარჯვებით და განცხრომას როდი ეძლევა, პირიქით დაუღალავად განაგრძობს მუშაობას დაბრუნებული პოზიციების გასამაგრებლად და, თუ მოხერხდება, კიდევ რამდენისამე ნაბიჯით რუსეთის უკან დასაწევად. ამ ჟამად კოალიცია ამოძრავებულია და ენერგიულად მუშაობს: ერთის მხრით, ემზადებიან საარჩევნო ბრძოლისთვის და იმედი აქვთ, რომ ახალის კანონის წყალობით სახელმწიფო სათათბიროსაც ისე ადვილად ჩაიგდებენ ხელში, როგორც ერობა ჩაიგდეს; მეორის მხრით, ირკვევენ და ამზადებენ ახალ-ახალ პროექტებს. რათა მომავალ სათათბიროს „გაუადვილონ საკანონმდებლო მუშაობა რუსეთის საკეთილდღეოთ". ამ საქმისათვის „შეერთებული თავად-აზნაურობათა საზოგადოებაც" მუშაობს და ერობის წარმომადგენელთა კრებაც-კი იქმნა მოწვეული; პირველი განაგრძობს აგრარულ საკითხის განხილვას და ადგილობრივ ადმინისტრატიულ წესწყობილების გადაკეთების პროექტს ადგენს, ერობათა კრება კი მოსკოვში იხილავს ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმის საფუძველთ. როგორც ზევითაც ვთქვით, კანონმდებლობის მხრით წარჩინებული წოდება უფრო რეაქციონურს გუნებაზეა, ვიდრე თვით მთავრობა. „შეერთებული საზოგადოებაც", ერობათა კრებაც გულმოდგინეთ იხილვენ მთავრობის მიერ შედგენილს პროექტებს და ცდილობენ ყოველისფერი შესცვალონ თავის კლასსის ინტერესების მიხედვით. ერობათა კრებამ დაამახინჯა კიდევ ისედაც ცალმხრივი და რეაქციონური პროექტი ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმისა, ხოლო „შეერთებული საზოგადოება" პირდაპირ ოქმში სწერს: ჩვენს მთავრობას ჯერაც ვერ გაუნთავისუფლებია თავი ძველ ლიბერალიზმის გავლენისაგან და ვერ შეუთვისებია რუსის ხალხის სულიო (русскій духъ!) და ამიტომ გულმოდგინეთ სპობს მთავრობის პროექტში ყველაფერს, რასაც „ძველის ლიბერალიზმის" ელფერი აცხია...

ასე მუშაობს რეაქციონული რუსეთი „დასავლეთიდან შემოპარულ" იდეალების წინააღმდეგ და სამაგიეროდ ცდილობს გამარჯვება არგუნოს წმინდა „რუსკი დუხს". შესწევს თუ არა ძალა რუსის ხალხის გამოღვიძებულ ნაწილსა და ინტელიგენციას დროზე შეაჩერონ ამ გამანადგურებელ „დუხის" დამკვიდრება და გამაგრება?

ახალი ამგავი

✦ **კიდევ გატაცებული ფულის შესახებ.** როგორც ნამდვილად გავიგეთ, ერევნის მოედანზე თავდასხმის დროს გაუტაცნიათ სულ 270,780 მან. 25 კაპ. აქედან, როგორც აღვნიშნეთ, იპოვნეს 9500 მან. ძველი ფული, რომელიც მო-

სასპობად იყო დანიშნული. მაშასადამე, თავდამსხმელთ წაუღიათ სულ 261,280 მან. 25 კაპ. მართალი არ გამოდგა გაზეთების ცნობა, ვითომ ეს ფული ახალი ფორმისა ჯერეთ უხმარებელი ყოფილიყოს. გატაცებულია თურმე ოთხ ოქრო, დანარჩენი სულ ქაღალდის ფული—10, 25 და 100 მანეთიანები. ამ ფულის გატაცების შემდეგ, 13 და 14 ივნისს, პოლიცია და ჯარი თითქმის მთელ ქალაქს მოედო გასაჩხრეკავად. ჩხრეკდნენ ქუჩებში გამვლელთ, ჩხრეკდნენ კერძო სახლებს. დააპატიმრეს ბევრი, მაგრამ მეორე დღეს ისევ გაანთავისუფლეს. უფრო ცხარე ჩხრეკა იყო პოლიციის მე-10, 9, 1 და 7 ნაწილებში. ჩხრეკის დროს ავჭალის ქუჩაზე, ჩუბინიძის დუქანში ნახეს ყალბი ფული, ერთი 100 მანეთიანი, სამი თითო თუმნიანი და ორი ხუთ-ხუთ მანეთიანი. ჩუბინიძე დააპატიმრეს. თუმცა ბევრი ჩხრეკა-ძიება იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, თავდამსხმელთა კვალისთვის მაინც ვერ მიუგნიათ. არსენალის გორაზე 14 ივნისს სალამოობით უნახავთ იმ ტილოების ნაგლეჯები, რომლებშიაც გახვეული ყოფილა გატაცებული ფული.

✦ **მკვლელობა.** 15 ივნისს, დილით დიდუბისკენ ელექტრონის ვაგონით გამგზავრებულა რკინის გზის სასწორების რევიზორი სარუხან ბეკოვი. ბეკოვი ვაგონის წინა სკამზე მჯდარა. იმის უკან ყოფილა სამი უცნობი. როდესაც ვაგონი ქალაქის სანერგეს ჩასცილებია, უცნობებს რევოლვერები დაუხლიათ სარუხან ბეკოვისათვის და იქვე გაუთავებიათ. უცნობებს მგზავრებისათვის უბრძანებიათ, ხმა არ ამოიღოთ, ხოლო ვაგონის დამტარებლისათვის—ჩქარა წასულიყო სადგურისაკენ. ამის შემდეგ ჩამომხტარან და მიმალულან.

✦ **იარაღის მაღაზიების დაკეტვა.** ტფილისის ადმინისტრაციას პოლიციის დეპარტამენტისაგან მოსვლია მოწერილობა. ამ მოწერილობის ძალით, ტფილისში იარაღის მაღაზიის პატრონებს უნდა ჩამოერთვათ იარაღი და გადაეცეს არსენალებს შესანახავად. იარაღის მაღაზიებში პატრონებს შეუძლიანთ მხოლოდ სანადირო თოფების შენახვა.

✦ **„ზაკავკაზიე“-ს დაკეტვა** გუშინ, 15 ივნისს, ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა ყოველ დღიური რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე“.

✦ **უზარმაზარ მამულის გაყიდვა** როგორც „ზ.“-ს ატყობინებენ, უკ. თავადს ნ. მინგრელსკის განუზრახავს თავის მამულების გაყიდვა. ამ მამულებს ხაზინა ყიდულობს. თავ. მინგრელსკი ერთი უდიდესი მემამულეთაგანია რუსეთის იმპერიაში, თითქმის სამი მაზრა იმის საკუთრებას შეადგენს. მარტო ცაგერის საზოგადოებაში მინგრელსკის ეკუთვნის 160,000 დესეტინაზე მეტი. მინგრელსკის მოურავი თავ. ქოჩაკიძე ამ ჟამად პეტერბურგშია და იქიდან დეპეშით შეჰკითხებია ზუგდიდის მაზრის უფროსს, აცნობეთ გლეხებს, ხოს არ იყიდიან მინგრელსკის მამულებსაო. თუ გლეხები უარს იტყვიან, ხაზინამ უნდა იყიდოს. ეტვი არ არის, გლეხებმა გულითაც რომ მოინდომონ, ვერ შესძლებენ მამულის შეძენას.

✦ **რედაქტორ გამომცემელი სამართალში.** 19 ივნისს ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემლის ალ. გ. ჯაბადარისა. ა. ჯაბადარს ჰბრალდებდა ის, რომ 1905 წელს 11 დეკემბერს „ცნობის ფურცლის“ ნომერში მოათავსა მუშათა კავშირის მანიფესტი, რომლითაც მუშები ხალხს იწვევდნენ გასაფიცავად.

✦ **მუშაობის შეჩერება.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას დროებით შეაჩეროს მუშაობა სოლოლაკის გვირაბის გასაყვანად. მიზეზი ის არის თურმე, რომ როდესაც ერევნის მოედანზე ყუმბარების გადასროლის ხმა პოლიციას ეგონა სოლოლაკის კლდეს დინამიტი ამტვრევენო.

✦ **მდგმურების კავშირი** ტფილისში დაარსდა კავშირი მდგმურებისა, რომელთაც აზრადა აქვთ ქალაქში ბინის ფასების მოწესრიგება.

✦ **დრამატიულ დასის თხოვნა.** ქართულმა დრამატიულმა დასმა სთხოვა თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, მისცეს ის 800 მანეთი, რომელიც ერგება წარსულ სეზონის წარმოდგენებისა. ამ ფულს დასი თხოულობს იმ 3000 მანეთიდან, რომელიც წელს თავად-აზნაურთა კრებამ გადასდო დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **სამხედრო საოლქო სასამართლო** სამხედრო საველე სამართალში მისცეს კახელები: კონდოლელი ტიტა დიმიტლაშვილი, მარიამ ჯვარელი მიხეილ ტარიმაშვილი, ურიათ-უბნელი ლევან ჩარექაშვილი და ნიკოლოზ ხუჩოშვილი, მანაველი ზაქარია რუსიშვილი, კაკაბეთელი იოსებ მჭედლიშვილი, კურდღელაურელი ალექსი ბებოშვილი, ქვემოხოდაშნელი სიკოციოვლაშვილი და კონდოლელი გიორგი ნაცვლიშვილი. ამათ ჰბრალდებათ თელავსა და შაქრიანს შუა, ქალაში, მგზავრების გაცარცვა.

✦ **ქართული ენის სახელმძღვანელო.** მასწავლებელს ბ-ნ ს. გორგაძეს განუზრახავს საშუალო სასწავლებელთა უფროს (IV—VIII) კლასებისათვის გამოსცეს ქართული ენის სახელმძღვანელო (სალიტერატურო კრებული) ამ სათაურით: „ჩვენი მწერლობა“. კრებულის პირველი ნაწილი უკვე ბეჭდება და ამ ცოტა დროში გამოვა.

✦ **შეტაკება.** გაზეთ „ზაკ.“ ატყობინებენ ახალქალაქიდან: სოფელ ყურადღეშის გლეხებმა თავიანთ მამულზე არ გაატარეს ვაშლიანელების საქონელი, საბალახოდ მიმავალი. კაზაკებსა და ყურადღეშელ გლეხებს შეტაკება მოსვლიათ. მოკლულია ერთი გლეხი, დაჭრილი 3. დაშავდა ბოქაული და ერთი კაზაკი.

✦ **ნავთიან ადგილების იჯარით გაცემა.** როგორც საგენტოს დეპეშა იუწყება, მინისტრთა საჭის დაუმტკიცებია ვაჭრობის მინისტრის მოხსენება ბაქოში მცირე სანავთო ნაჭრების იჯარით გადაცემის შესახებ. იჯარით გაცემის დროს საჯარო ვაჭრობა არ მოხდება.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში ხუთი წლით—ფილიპე კოპაძე, რომელიც ასტრახანის გუბერნიაში ყოფილა გაგზავნილი და დაბრუნებულა; ასტრახანის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—ნადედა კუზნეცოვა, რომელიც, პოლიციის ცნობებით, სარევოლიუციონერთა პარტიას ეკუთვნის. აეკრძალათ ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება: თელავის მაზრის მემამულის ნ. ქეთევან რუსიშვილის მებაღეებს დიმიტრი ომანიძეს, ანტონ, გიორგი და ილარიონ ბენიძეებს, ზურაბ გერგეტიშვილს და იოსებ მაჟაკელიძეს, რომელთაც აბრალებენ ბაღში ყაჩაღების დამალვას. ხუთი თუმნით დაჯარიმეს სახლის პატრონი ევდოკია დომბროვისა.

✦ **წარმოდგენის გადადება.** რადგან სახაზინო თეატრი დაჰკეტეს, ამიტომ კვირისთვის დანიშნული წარმოდგენა „ყაჩაღი არსენა“ და „ხელოვნება თუ კაკარდა“ დაიდგმება ძმათა ნიკიტინების ცირკის შენობაში. წარმოდგენა დაიწყება სწორეთ დილის 12 საათზე.

✦ **„ახალშენი“.** „ახალშენის“ ამხანაგობის კომისია გვთხოვს დავბეჭდოთ: „ამხ. „ახალშენის“ კომისიამ დაადგინა: შეეშუშაოს გეგმა მაკაროვების მამულში სამოსახლოებზე უბნა-უბნად ფასის დადებისა და ამასთან აღძრას შუამავლობა, სადაც ჯერ არს, რომ ნება დართონ ხელის მომწერთა საზოგადო კრების მოწვევისა“.

✦ **ყაჩაღის საიკვდილოდ დაჭრა.** როგორც განჯიდან დეპეშით აუწყებენ საგენტოს, იქ სასიკვდილოდ დაუჭრიათ ცნობილი ყაჩაღი მახმუდ-სალმან-ოღლი

✦ **ტფილისის ქართული გიმნაზია.** ტფ ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასის მოწაფეების გამოცდა დაიწყო 30 აპრილს და დასრულდა ამ დღეებში. 9 ივნისს იყო უკანასკნელი გამოცდა ეგზამენებს, გიმნაზიის გამგესა და მასწავლებლებს გარდა, ესწრებოდნენ ოლქიდან გამოგზავნილი ასისტენტები. თავმჯდომარედ დანიშნული იყო პ. ფედოროვსკი, ხოლო ასისტენტებად ჰგზავნიდნენ ტფ. სხვა და სხვა გიმნაზიის მასწავლებლებს, იმის მიხედვით, თუ რომელ დღეს რა საგანში იყო დანიშნული გამოცდა. ეგზამენს იჭერდა სულ 27 კაცი. ყველამ დაამთავრა და მიიღო ატესტატები. აი მათი სახელი და გვარი: აკაკი ფალავა, ალექსანდრე ახმეტელაშვილი, ალექსანდრე ლოლაძე, ალექსანდრე სულიკაშვილი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, არჩილ გულისაშვილი, გიორგი მამრაძე, გიორგი ოსიტაშვილი, გრიგოლ ლაღიძე, დიმიტრი ნიჟარაძე, ერასტი ფალავა, ვასილ რცხილაძე, ვასილ ყიფშიძე, ვლადიმერ რცხილაძე, ზაქარია მაჭავარიანი, იოსებ გვახარია, კონსტანტინე (გუძა) ჩიქოვანი, ლევან ხიზანიშვილი, ლუკა ცაგარელი, მიხეილ იმნელი, მიხეილ თუხარელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, სამსონ დადიანი, სვიმონ იმნელი, სვიმონ რატიშვილი და ტერენტი კახეთელიძე.

✦ **უმაღლესი კურსები.** „სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების“ ერთ ჯგუფს განუზრახავს შემოდგომიდან ტფილისში დაარსოს უმაღლესი კურსები კავკასიის შესასწავლად. 13 ივნისს წრეკრება მოახდინა, რომელსაც დაესწრნენ გ. თუმანოვი, მ. თამამშევი, პროფ. ხახანაშვილი, პროფ. ჯავახიშვილი, ქალაქის თავი ჩერქეზიშვილი, ა. ბაბოვი და სხ. სექციას განზრახული აქვს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქიდან მოიწვიოს თითო თვით საგნის მცოდნე ლექტორები და ლექციები აკითხოს, სექციას უკვე თანხმობა მიუღია პროფესორებისგან მ. მ. კოვალევსკისა, ნ. მარრისა და კ. ხარიჩკოვისგან.

✦ 14 ივნისს სოფელ მარტყოფში დასასყიდველ გვაში ამ დღეებში მოკლედ მარტყოფის ბაბასხლისა ნიკოფლოზ ბერიშვილისა. დასაფლავებას მოელი მარტყოფის საზოგადოება დასწრებია. კუბოს 18-მდე გვირგვინი ამკობდა. მარტყოფის ტახოგრებნი აღელვებულნი თურმე არიან ამ მკვლელობით.

✦ ტფ. საგუბერნიო სამართველოს საქმეთა განყოფილებამ გადასწყვიტა სასოფლო სამკურნალოები დაარსოს ბორჩალოს მაზრასა და სოფ. ახალქალაქში. იქნება, ბორჩალოში სამკურნალო სოფ. კოშარეთში დაარსონ, რადგანაც ეს სოფელი მოხერხებულ ადგილას არის.

КРИЗИСА

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ს.-დ მ. პარტიის უკანასკნელმა კონგრესმა ლონდონში უფერულად და უნაყოფოდ ჩაიარა. ეი, სხვათა შორის, ეს, მთელ ახასიათებს მას. გაზეთ „ტოვარიშჩ“, რომელიც გულწრფელი და მხნე თანამგრძნობელია სოციალ-დემოკრატიისა, განსაკუთრებით ... [illegible]

რა შესძინა ამ კონგრესმა პარტიას და მთელ მუშათა კლასს? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. საფიქრებელი იყო, რომ მუშათა პარტიის კონგრესი საქმის გასაკეთებლად იყო მოწვეული და არა უბრალო ლაყბობისათვის. მის წინაშე ორი საკითხი იდგა: **რა** გავაკეთოთ, რა გზას დავადგეთ შემდეგში და **როგორ** გავაკეთოთ? მაგრამ ამაოდ დაიწყებთ პასუხის ძებნას კონგრესის რეზოლიუციებსა და დაუსრულებელ დებატებში: იქ გაკვრითაც ვერ იპოვით პასუხს საჭირბოროტო საკითხებზე.

მაშ რას აკეთებდა სამის კვირის განმავლობაში ს.-დ. კონგრესიო, იკითხავს ზოგი მკითხველი, რომელმაც არ იცის ჯერ კარგად ჩვეულებრივი უსიცოცხლო-ხოლასტიური ხასიათი ს.-დ—ბის კრებაკამათებისა?

კონგრესმა თითქმის მთელი დრო იმის გამორკვევას მოანდომა, თუ როგორია კლასობრივი შინაარსი არა პროლეტარულ პარტიებისა და თავის სასწორზე სწონავდა, რომელი ბურჟუაზიული პარტია უფრო მეტად გადავიდა კონტრ-რევოლიუციის მხარეზე—ოქტობრისტები თუ კადეტები? ეს უნაყოფო კამათიც არ გასცილებია ზოგად და გაცვეთილ ფრაზებს.

კონგრესზე რასაკვირველია ბრძოლა იყო ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შუა. არც ერთის და არც მეორის მხარის გამარჯვება-დამარცხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება; ყველაფერი ძველებურად დარჩა, ერთმანეთს დაუთმეს და სამაგიეროთ ისეთი უშინაარსო და „რეზონის მზგავსი“ რეზოლიუციები მიიღეს, რომ მათი ფასი გროშია, როგორც გინდა და ვისაც როგორ უნდა ისე გაიჭიმება, შემცირდება, გადატრიალდება და გადმოტრიალდება ეს რეზოლიუციები. „ვს“-ში უნდა გამოადგესო, ვკითხულობთ გაზეთ „ტოვარიშჩ“-ში,

ეს უშინაარსო და გაურკვეველი რეზოლიუციები, რომელნიც პასუხს არ იძლევიან ცხოვრების არც-ერთ კონკრეტულს შეკითხვაზე? ისინი ცხოვრების გარეშე არიან, პარტიამ-კი ცხოვრებაში უნდა იმოქმედოს. საერთოდ, ლონდონის კრების რეზოლიუციები მხოლოდ ცუდათ შემუშავებულ სალიტერატურო მასალად თუ გამოდგება, თორემ სხვა არაფრად...

საწყენარო არაა, რომ პარტია, რომელიც ხალხის მოძრაობის ხელმძღვანელობას კისრულობს, დიდის გამირვებით და აუარებელ ფულის დახარჯვით იკრიბება ცხრა-მთას იქით და სამი კვირის განმავლობაში იმას იკვლევს, თუ „როგორია კლასობრივი შინაარსი არა პროლეტარულ პარტიებისა“ და რომელი ბურჟუაზიული პარტია უფრო შორს წავიდა რეაქციის გზაზე? ეს რუსეთის დღევანდელ პირობებში!

ნული სული, არა ყოფილა შემოქმედება მთელის ქართველ ერისა, არა ყოფილა ცდა მთელის ერის ორგანიზაციისა, არა ჰქონია მოძრაობას ქართული პოლიტიკური პროგრამმა. ჩვენი რევოლიუციის სოციალურს სულს სრულებით აკლდა ეროვნული სული. ამიტომ თუმცა იყო მისწრაფება საკუთარ სოციალურ ორგანოთა შექმნისაკენ, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია დასრულება ამ ორგანიზმისა, შექმნა საკუთარ პოლიტიკურ და იურიდიულ ორგანიზმისა. მეტაც ეროვნული სულის უქონლობის გამო სოციალური სული ჩვენის მოძრაობისა სუსტად გამოიხატა, და მიუხედავად ჩვენის ხალხის მძლავრ შემოქმედებისა, ვერ მოხერხდა ორგანიზაცია მთელის ეროვნული ძალისა ერთ დიდ შემოქმედ ორგანიზმად: პარტიული ინტრიგები სჭარბობდენ ხალხის სიმტკიცეს. ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინო იქმნებოდა მაშინ, ჩვენში რომ რეაქციას არ მოესწრო და განგრძობილიყო რევოლიუცია, რომ განმეორებულიყო, მაგალითად, კახეთის ამბები 1812 წლისა. ეროვნული სულის სისუსტე, ეროვნების თავისუფლების პრინციპიალურად უარ-ყოფა და პარტიული ინტრიგები დასძლეოდნენ ხალხის შემოქმედებას და ხალხიც ვერ მიაღწევდა თავის მიზანს—შეექმნა საკუთარი სრული სოციალური ორგანიზმი. ამ უბედურების შთანაჩენები იყო თვით მოძრაობის დასაწყისში; იგი დაჭლუპავდა უეჭველად მოძრაობას. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ჩვენში ფიქრადაც არავის მოსვლია, მთელი ეროვნული ძალ-ღონე მიექცია იმისაკენ, რომ საერთო ეროვნულ

ᲕᲔᲚᲝᲪᲘᲠᲘ

ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲓᲐ!..

(დასასრული*)

VI.

განმარტებანი და დაზვნა.

აი, ეს არის, ჩემის ფიქრით, ჩვენის გადაშენების ნიშნები. მე არ გამომიკვლევია მეცნიერულად ყოველივე ეს ისე, რომ ეს ნიშნები ხამდვილი სამეცნიერო დასკვნა ყოფილიყოს მეთოდიურ გამოკვლევისა. მთელი წლები და მთელი ტომები დასჭირდებოდა თვითეულ ჩვენ საზოგადოებრივ ორგანოს გადაშენების სრული ისტორიის დაწერას. ეს ეკუთვნოდა მთელი ჩვენი სოციოლოგიური და ანტროპოლოგიური ისტორია, ხოლო ამას მე კი არა, ვერა ხორციელი ადამიანი ვერ მოახერხებს სამ ოთხ დღეს, რომლის განმავლობაშიაც მე მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებანი დავსწერე. გულწრფელად ვთქვი ის, რაც მიხუთავდა სულსა და მირევდა გონებას. მე არავისი წყენა არ მინდა, მხოლოდ მსურს მივაქციო ყველას ყურადღება ყველა ამ მოვლენებზედ, ჩაუკვირდეს—რა მოგველის, და თუ ისეთი ვინმე გამოჩნდება, რომ დამიმტკიცებს წინააღმდეგს, ჩემთვის ეს უდიდესი ბედნიერება იქნება, ვინაიდან დავიკვიდრებ სულის სიმშვიდეს, უუმაღლეს ბედნიერებას, რომლის ბადალიც არა არის რა ამ მიწიერ ცხოვრებაში.

ყველა ზემოხსენებული ნიშანი ჩვენი სოციალურ ორგანიზმის გადაშენებისა, ტერიტორიის თანდათან დაკარგვისა და ხალხის ზნეობრივ და ფიზიკურ რეგრესისა, ცალ-ცალკე არ არის მთელი ერის გადაშენების ნიშნები, ერთად-კი უტყუარი მაჩვენებელია ამ საზარელ ფაქტისა. მაგრამ ჩვენ ყველგან შევნიშნეთ ეს უბედურება, და ზემოხსენებული „მეტრიც“ სწორედ შესდგება არა-ორგანიულ, ორგანიულ, ფსიხიურ და სოციალურ ელემენტთაგან,—იგი რთული, უურთულესი საზომია ყველა არსებულ საზომთაგან, რომელიც-კი ადამიანს ხელში აუღია აქამდე თავის ცხოვრების განსაზომად. ეს საზომი უდგება ჩვენ ცხოვრებას, მისი განზომის შედეგია რეგრესსი და გადაშენება. მაშ დამიმტკიცეთ, რომ ან „მეტრი“ არ ვარგა, ან კარგად ვერ გავზომე ჩვენი ცხოვრება, და მაშინ დავრწმუნდები, რომ საქართველო არ იდუპება. შეიძლება ვინმე გადაშენებულმა მითხრას, რომ შენი არც დარწმუნება გვესაჭიროება და არც დაპარაკი გვსურს ამ საგანზეო, მაგრამ ამით ის მართალიც თავს შეუგნებლობასა და გადაშენებას დამტკიცებს, რადგან ყველა ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება და ზნეობრივი მოვალეობა, აღძრას ყოველ-გვარი საჭირბოროტო საკითხი და მიიღოს ჯეროვანი პასუხი, ვინაიდან ასეთი კამათი ქვეყნისათვის თვალია ამხილავი და საარგებლოა, საზარალო კი არავისთვის. ეს მოქალაქობრივი შეგნება ყველა არაგადაშენებულ კაცს უნდა ჰქონდეს.

დასასრულ, ძლიერ კარგად მესმის, რომ ბევრსა მკითხავენ ზემოხსენებულის შესახებ. განსაკუთრებით შემდეგ უმთავრეს კითხვებს ველი, რომელზედაც წინდაწინვე მივცემ პასუხს: 1. მაშ პროგრესსი არა ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში ამ ასის წლის განძავლობაში? 2. მაშ გადაშენებულ ხალხს როგორ შეუძლიან ისეთ საქმეების ჩადენა, როგორიც ჩვენში ჩაიდინეს ამ უკანასკნელად, რევოლიუციის დროს? 3. რას ვაქნევ მე პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა ორგანოებს, როდესაც სახელმწიფო პრინციპიალურად არა მწამს? 4. რა არის წამალი ჩვენის გადაშენების წინააღმდეგ?

ვეცდები მოკლე პასუხი მივცე ყველა ამ კითხვებზედ.

1. დიახ, ასის წლის განძავლობაში, ზემოხსენებულ „მეტრით“ რომ გაკბიმოთ ჩვენი ცხოვრება, პროგრესსის გზას ვერ დავადექით. ძოგვესპო მრავალი მთავარი სოციალური ორგანო, ზოგი სრულიად, როგორც იურიდიული და პოლიტიკური, ბევრი კი გადაშენდა, როგორც ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება, ზოგიც, მართალია, აღორძინდა, მაგალითად თეატრი, მაგრამ სრულიად ვერ შეჰქმნა ნამდვილი ორგანიზაცია თეატრალურ ხელოვნებისა. აგრეთვე მართალია, რომ ხალხი განმრავლდა, ამ ასს წელიწადში და ეს ადამიანს პირველის შეხედვით დიდი პროგრესსი ეგონება, მაგრამ ჯერ ერთი—მარტო ხალხის განძრავლება თავის თავად ვერ შადგენს პროგრესს, მეორე—ჩვენი განმრავლება იყო იაფთის სუსტის ხარისხით, რომ სასაცილოა მას განმრავლება ვუწოდოთ: ერთ საუკუნეში ერთი ორადაც ვერ გადვიქეცით! მესამე—თვისება ქართველ რასისა დღეს უარესია, ვიდრე წინად იყო, ისე გადაამენა ერთის საუკუნის მონობამ ფიზიკურადაც. ტერიტორიის მხრივ კი ნამდვილი რეგრესსია, როგორც უკვე ვთქვეთ. საკმაოა ჩვენ სტატისტიკოსთა მიერ მოყვანილ ციფრების გადათვალიერება ჩვენს მიწების ბედ-იღბლის შესახებ, რომ ადამიანი ამაში დარწმუნდეს. რაც პროგრესსის ელფერს აძლევს ჩვენს ცხოვრებას, ეს შემოტანილი ევროპიელ კულტურის გარეგანი ბრჭყვიალია, რომელსაც ჩვენის ხალხის სულ უმცირესობა ეზიარა, ეს-კი არავითარი პროგრესსის დამამტკიცებელი არ არის. საერთოდ კი, განვიძეორებთ, „მეტრი“ ცივილიზაციისა რთულია და მხოლოდ ამ რთულ საზომით განზომა შეიძლება რომელისამე ცხოვრებისა, ამ მხრით კი ჩვენ უკან დავიხიეთ ჩვენი საზოგადოების ყველა ორგანოთა მოსპობისა, გადაშენებისა და სუსტი განვითარების მხრით, ძველ დროსთან შედარებითაც, ხოლო ჩვენი ცხოვრება რომ უფრო რაციონალურად გავზომოთ, ესე იგი რომ შევადაროთ ჩვენი ახლანდელი ცხოვრება იმ ცხოვრებას, რომელიც ეხლა გვექნებოდა, ჩვენი ორგანოები, ამ ასის წლის წინად არსებული, რომ დარჩენილიყო,—მაშინ უფრო თვალ-საჩინო იქმნებოდა განსხვავება წარსულსა და ამწყოს შორის სოციალურ რეგრესსის მხრით.

2. ჩვენი რევოლიუცია სწორედ დიადი ცდა იყო დაკარგულ ორგანოთა დაბრუნებისა, საკუთარ სოციალურ შემოქმედების მიერ დამკვიდრებულ ორგანოთა მოპოვებისა. მაგრამ ეს ცდა იყო სრულიად შეუგნებელი, შეიძლება უკანასკნელი, თავ-განწირული, სასოწარკვეთილი,—ცდა გადაშენებისაგან თავის დასხნისა. მას არა ჰქონია ეროვ-

ᲒᲔᲒᲛᲐ

ქართული ენის პროგრამისა მთავრობის საშუალო სასწავლებლებისათვის.

(დასასრული *)

მეექვსე კლასი.

(კვირაში 3 გაკვეთილი)

მეექვსე კლასშიაც იმავე გვარის სავარჯიშოებია, რაც მეხუთე კლასში:

1. ქართული სიტყვიერების ისტორია (კულტურულ ისტორიასთან ერთათ):

II. მეორე პერიოდი (გაგრძელება):

1. გიორგი წერეთელი და მისი ბელეტრისტული ნაწერები.
2. რაფიელ ერისთავი და მისი ლექსები.
3. ალექსანდრე ყაზბეგი და მისი რომან-მოთხრობები.

III. მესამე პერიოდი.

(80 იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე):

1. ჩვენი ქვეყნის კულტურული ვითარება ამ პერიოდში. (აქვე—ქართული ჟურნალ-გაზეთობა).
2. ვაჟა-ფშაველა და მისი ნაწერები (ლირიკა, პოემები და პროზა).
3. დუტუ მეგრელი და მისი თხზულებანი (ლირიკა, მოთხრობები და დრამა).
4. ეგნატე ნინოშვილი და მისი მოთხრობები.
5. დავით კლდიაშვილი და მისი მოთხრობები.
6. შიო არაგვისპირელი და მისი ნაწერები.
7. იროდიონ ევდოშვილი და მისი ლექსები.
8. ქალი-მწერლები: ეკატერინე გაბაშვილისა; ანასტასია ერისთავისა; განდეგილი და აზიანი.
9 მე-XIX საუკუნის დანარჩენი მგოსნები და ბელეტრისტები (მამია გურიელი, ანტონ ფურცელაძე, მელანია, სილოვან ხუნდაძე, ცახელი, გრიგოლ აბაშიძე, შიო მღვიმელი და სხვანი) მოკლ.
10. ახალი თეატრი და ქართველი დრამატურგები: ა. ცაგარელი, ვას. აბაშიძე და ვალ. გუნია.

2.—კლასში საკითხავ-გადმოსაცემი და განსარჩევი მასალა. სანიმუშო სია:

ა) გიორგი წერეთლისა: „მამიდა ასმათი“ (შემოკლებით); „პირველი ნაბიჯი“ (რამდენიმე ადგილი).

ბ) რაფიელ ერისთავის ლირიკა არჩევით.

გ) ალექსანდრე ყაზბეგის „ხევის ბერი გოჩა“ (შემოკლ.).

დ) ვაჟა ფშაველასი—ლირიკა არჩევით; „სოფლის სურათები“ (პროზა).

ვ) დუტუ მეგრელისა—ლირიკა არჩევით; (მოთხრობა „პირველი ტალღები“ და „უბრალო მსხვერპლი“).

ვ) ეგნატე ნინოშვილისა „ჩვენი ქვენის რაინდი“ (შემოკლ.)

ზ) შიო არაგვისპირელისა: „შერე რალათი იცხოვრეს“ და „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“!

თ) იროდიონ ევდოშვილის ლირიკა არჩევით.

თ) მამია გურიელისა: „ადამიანი“, „კარჩხალის მთები“.

ი) ცახელისა—ლეგენდა „გურგენ რაინდი“ (შემოკლ.)

კ) გრიგოლ აბაშიძის ლექსი „სატრფოს“.

ლ) კლდიაშვილის მოთხრობა:—„სოლომონ მორბელაძე“.

3. წერითი სავარჯიშოები აქაც იმავე გვარისაა, როგორიც მეხუთე კლასში.

მეშვიდე კლასი.

(კვირაში 3 გაკვეთილი)

მეშვიდე კლასშიაც იმავე გვარის სავარჯიშოებია, რაც მეექვსეში:

1. ქართული სიტყვიერების ისტორია (კულტურულ ისტორიასთან ერთად):

ა) ხალხური სიტყვიერება:

1. საგმირო, საისტორიო, სალირიკო და საყოფაცხოვრებო ლექსები;
2. ზღაპრები (მითიური, საყოფაქცეო და პირუტყვთა ეპოსი);
3. ანდაზები, გამოცანები და შელოცვა-გამოლოცვანი.

ბ) ძველი მწერლობა:

I. მოსამზადებელი ხანა (დასწყისიდან მე-XI საუკუნის დამდეგამდე):

1. საქართველოს საერთაშორისო და სოციალ-კულტურული ვითარება ამ ხანაში (მეზობელ ერების გავლენა ჩვენს კულტურასა და მწერლობაზე).
2. სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრები ამ ხანაში. შესანიშნავი მთარგმნელები: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, მათი ცხოვრება და მოქალაქობა.
3. საღვთისმეტყველო ნაწერები და ქადაგებანი.
4. აგიოგრაფიული ნაშთები.
5. ისტორიულ-იურიდიული ნაწერები.

II. კლასიკური ხანა (XII საუკუნე):

1. საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარება ამ პერიოდში.
2. იოანე შავთელი და მისი „აბდულმესია“.
3. მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“.
4) სარგის თმოგველი, მისი „დილარიანი“ და „ვის-რამიანი“.
5. ჩახრუხაძე და მისი „თამარიანი“.
6. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

III. მწერლობის დაცემის ხანა (XIII—XVI საუკ.) და ამ დაცემის მიზეზი: საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა ამ ხანაში.

IV აღორძინების ხანა (XVII—XVIII საუკუნე):

1. საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-კულტურული მდგომარეობა ამ ხანაში.
2 თეიმურაზ I და მისი ნაწერები.
3. არჩილ მეფე და მისი „არჩილიანი“.
4. იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“.
5 საბა ორბელიანი და მისი წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“.
6. დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“.
7. ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) და მისი ლირიკა.
8. ისტორიულ-იურიდიული ნაშთები: ვახტანგ VI-ის სალიტერატურო მოღვაწეობა („ქართლის ცხოვრების“ სარედაქციო კომისია, სტამბის დაარსება, სამართლის წიგნი), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ და „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი“; სხვა ისტორიკოსები (ხერხეულიძე, ჩხეიძე, ორბელიანი პაატა, ფარსადან გორგიჯანიძე).
9. ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო და საგრამატიკო მწერლობა: ანტონ I კათალიკოსი (მისი „ფილოსოფია“, „მზა-მეტყველება“, „ფისიკა“, „ვრამატიკა“) და იოანე ბატონიშვილი (მისი „კალმასობა“).
10. მქადაგებლები და საერო ორატორები: ანტონი ჭყონდიდელი, ამბროსი ნეკრესელი და დავით რექტორი.
3. წერითი სავარჯიშოები: ა) პირებისა და ეპოქის დახასიათება წაკითხულ ნაწარმოებთა ან უკვე ნაცნობი ისტორიული ფაქტების მიხედვით; ბ) ამა თუ იმ შესწავლილი ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა; გ) აღწერა, მოთხრობა ან მსჯელობა; ან უკვე მზა გეგმის მიხედვით, ან მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმის შემწეობით ან იმ გეგმით, რომელსაც მოწაფეები თვითონ შეადგენენ.

მერვე კლასი.

(კვირაში 3 გაკვეთილი)

1. ქართული სიტყვიერების ისტორია:

ა) განმეორება და შევსება იმისი, რაც მოწაფეებს მე-VI და VII კლასში უსწავლიათ.

ბ) საზოგადო მიმოხილვა ქართულის ნათარგმნი მწერლობისა მე-XII საუკუნიდან ჩვენს დრომდე.

გ) საზოგადო მიმოხილვა ქართულის ისტორიოგრაფიისა, მჭევრ მეტყველებისა, საგრამატიკო ლიტერატურისა, პედაგოგიურ მწერლობისა და პუბლიცისტიკისა მე-XIX საუკუნეში.

2. წერითი სავარჯიშოები: აღწერა, მოთხრობა და მსჯელობა ან უკვე ნაცნობ თხზულებათა გეგმის მიხედვით, ან მასწავლებლის მიერ მიცემულ გეგმის შემწეობით, ან იმ გეგმით, რომელსაც მოწაფეები თვითონ შეადგენენ.

შეცდომის გასწორება: „ისარი“-ს გუშინდელს ნომერში მე-3 გვერდზე, მე-2 სვრელში, ზემოდან 27-28 სტრიქონებში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვპარვია: „და მათს ღირსების ნაკლულოვანებას განუმარტებს“; უნდა იყოს: „და მათს **ღირსება ნაკლულოვანებას** განუმარტებს.“

აგრეთვე მე-2 გვერდზე, მე-3 სვრელში, მე-5 სტრიქონში დაბეჭდილია: „რიცხვითი სახელის **და** ბრუნება ცალ-ცალკე“; აქ კავშირი „**და**“ ზედ-მეტია.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ბორჯომი. ბორჯომში ასე ადრე ამოდენი მუაგარაკე არც ერთ წელს არა ეოფილა. სეზონი აქ, როგორც მოგეხსენებათ, ათ ივნისიდან იწყება, მაგრამ ხალხმა წელს უფრო ადრე იწყო დენა. ს

რუსეთი

—:—

არეულობა ჯარში. კიევის გარნიზონში მომხდარ არეულობის შესახებ კიევის გაზეთებში შემდეგი ამოვიკითხეთ: „4 ივნისს, საღამოს 9 საათზე წინდაწინვე შემუშავებულ გეგმის თანახმად ვოლნოპრ. შევჩენკომ რამდენჯერმე დასცალა თოფი და ამით თავის ამხანაგებს ნიშანი მისცა. მაგრამ შეთქმულება დროზე გაუგეს და შევჩენკო თავის ოთხ ამხანაგით დააპატიმრეს. მათი დაჭერის დროს მძიმედ დაიჭრა ორი სალდათი. ღამის თერთმეტ საათზე საზოგადო ბანაკში საპიორნა მე-21 ბატალიონის სალდათებმა ხელ მეორედ ასტეხეს სროლა, მაგრამ დანარჩენი ჯარი არ მიემხრო და თოფებით გავიდა მათ წინააღმდეგ. ატყდა სროლა. მეამბოხეთ იარაღი აჰყარეს და მთელი ბატალიონი დააპატიმრეს. სროლის დროს მეამბოხეთა მოკლეს ერთი ფელდფებელი, ოფიცერი აკულოვი და მძიმედ დასჭრეს ოთხი სალდათი („კავკაზი“).

სიკვდილით დასჯა. 9 ივნისს ქ. ბობრინსკში დახვრიტეს ვოლოდკევიჩი, გაპონენკო და სტასენკო; იმავე დღეს ეკატერინოსლავში სამხედრო სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა ფედოროვსა და სიპკოვს; ამავე დღეს კიევის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ხუთ კაცს.

ახალი საარჩევნო კანონი როგორც ვიცით, ამიერიდან ქ. ვარშავა ირჩევს ორ დეპუტატს: ერთს ირჩევენ მხოლოდ რუსები, მეორეს — დანარჩენები. მთელ ვარშავაში ირიცხება 700,000-მდე მცხოვრები. რუსები შეადგენენ მხოლოდ 3%, ე. ი. 21,000 ხოლო 68,000 პოლონელი, ებრაელი და გერმანელია. მთელ რუსეთში ყველაზე უწინ ვარშაველი რუსები შესდგომიან არჩევნებს და უკვე დაუსახელებიათ კანდიდატიც. „ქეშმარიტ რუსებს“ დაუსახელებიათ გენერალი აგაპეევი, პროგრესისტებს—პროფ. პოგოდინი.

პრესის „თავისუფლება“. მოსკოვის გენ.-გუბერნატორს ერთი კვირის განმავლობაში ხელმეორედ დაუჯარიმებია „პარუსის“ რედაქტორი 3000 მან., ორიჯერ—7000 მან. „პარუსის“ რედაქტორმა არ მოისურვა ჯარიმის გადახდა, გაზეთი დაკეტა და ციხეში ჯდომა ამჯობინა ამოდენა ფულის გადახდას.

ახალი პარტია. რუსეთის გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმაა ახალ „კონსტიტუციონალურ“ პარტიის დაარსების შესახებ. ეს პარტია უნდა შესდგეს მემარჯვენე კადეტებისა და მემარცხენე ოქტომბრისტებისაგან და ჰომავალ სათათბიროში დაიჭიროს ცენტრი. პარტიის შედგენას მეთაურობენ კადეტები ბულგაკოვი და ცნობილი ვექილი მაკლაკოვი. მოლაპარაკება უკვე დაწყებულა.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი

პეტერბურგი. სახელმწიფო კონტროლიორი შვანებახი, თანახმად თავისს თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობისაგან.

სენატის პირველმა დეპარტამენტმა 13 ივნისს განიხილა მიწათ-მოწესრიგების მთავარ გამგის ამხანაგის ნიკიტინის საქმე და დაადგინა, დანიშნოს გამოძიება. ნიკიტინს აბრალებენ პეჩორის სახაზინო ტყეების ექსპლოატაციის უკანონო მოქმედებას.

მოსკოვი. საეროდ კრების წევრთაგან 33 მემარჯვენეა, 33 ზომიერი, 44 ოქტომბრისტი, 4 მშვიდობიან განახლების პარტიისა და 10 კადეტი; სულ 124 წევრი.

ვარშავა. 12 ივნისს აღმოაჩინეს ს.-დემოკრატების კრება და 22 კაცი დაუპატიმრეს. იპოვნეს პარტიული დოკუმენტები.

გროდნო. ბელოსტოკში დააპატიმრეს 6 მაქსიმალისტი. წაიღეს მიწერ-მოწერა და სარევოლიუციო გამოცემანი.

ლოძი. აღმოაჩინეს მილლერის სამღებროსთან ჩასაფრებული მძარცვავთა ბრბო, რომელიც 20 შეიარაღებულ კაცისაგან შესდგებოდა. მძარცავებმა სალდათებს სროლა აუტეხეს. ერთი მძარცავთაგანი მოკლულია.

თავისს სახლში მოჰკლეს ერთი მუშა, ნაროდოვეცი.

ჭააგა. კუნძულ კუბის დელეგაციის მდივანმა ფერრარიმ თანამდებობას თავი დაანება, რადგან ხმა გავრცელდა იმის წარსულ ანარქისტულ-რევოლიუციონურ მოქმედებაზე. ფერრარი მოერიდა, მთავრობა ამით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდებაო.

ორიოლი. თავს დაესხნენ ივოდსკის ფარიკის კასირს, რომელსაც 3000 მანეთი მიჰქონდა. კასირი უვნებლად გადრჩა, ფულიც უკლებლადაა. ერთი სტრაჟნიკი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

შონპელიე. ალბერი სასამართლოში გამოცხადდა. იგი დააპატიმრეს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ორი დიდის კამათის შემდეგ ერთხმად მიდებულ იქმნა ბილლი ტერრიტორიალურ ჯარის შესახებ.

საზოგადოებათა პალატაში განაგრძეს კამათი ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ, თანახმად მთავრობის რეზოლიუციისა. პალატამ უარ-ჰყო მუშათა პარტიის წევრის წინადადება ლორდთა პალატის სრულიად გაუქმების შესახებ და მიიღო მთავრობის რეზოლიუცია.

მონპელიე. კლემანსომ ალბერს დეპეშა გაუგზავნა და ადნიშნა ალბერის კანონიერად მოქცევა და დაპირების პირნათლად შესრულება. ჩემ ძმრივ ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ ხალხი დაგამშვიდო, სწერს კლემანსო.

პეტერბურგი. ნოვოჩერკასკში საპოლიტეხ იკო ინსტიტუტს შემოდგომისთვის გახსნიან. ჯერ-ჯერობით ორი განყოფილება იქნება, სამთო და საინჟენერო-სამელიორაციო.

სიმფეროპოლი. შუაგულ ქალაქში სამმა კაცმა მძიმედ დასჭრა ერთი ოლიციელი.

მიტავა. ტუალუმიდან 15 ვერსის მანძილზე ხუთის ტყვიით მოჰკლეს სახაზინო საარყე. უქნის არყის გამყიდველი.

სევასტოპოლი. ვიღაც უცნობმა მოჰკლა ნავთ-სადგურის მუშა.

ვილნო. 14 ივნისს ნემცების ქუჩაზე, მრავლის ხალხის თვალ-წინ, თავს დაეცნენ გოროდიშჩის ბანკის ოთხს მოხელეს. გაიტაცეს 1200 მანეთი ნაღდი და კუპონები. გადარჩა კერძო სახელოზაზე გაგზავნილი ფული. დაიჭრა ორი მოხელე. მძარცავებმა სროლა ასტეხეს და მიიმალნენ.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ მოსკოვის გუბერნიაში საგანგებო დაცვის წესები გაგრძელდეს 1907 წლის 7 დეკემბრამდე.

ასტრახანის, ბესარაბიის, ყაზანის, ორენბურგის, პერმის და ვლადიმირის გუბერნატორებს, დონის ოლქის კაზაკთა ატამანს, ურალის და ტურდაის ოლქების სამხედრო გუბერნატორებს ნება დაერთოთ, გამოხდენ დროებითი სავალდებულო წესები საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ გაარჩია საკასაციო საჩივარი სამთო ინჟენერის კოკინისა, მილიოტიჩიკისა, კორეკისა და იკორსკისა, რომელნიც ადმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მსახურებდნენ. მთავარმა სასამართლომ ხარბინის სამხედრო სასამართლოს დადგენილება გააუქმა და საქმე ხელახლად პრიამურის სამხედრო სასამართლოს გაუგზავნა განსახილველად. ზემოდ აღნიშნულ პირებს ჰბრალდებოდათ კანტორის ცეცხლის წაკიდება, რათა მათი გამამტყუნებელი საბუთები დამწვარიყო. ხარბინის სასამართლომ კოკინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენთ ოცის წლით კატორგა.

პარიზი. კლემანსომ მინისტრთა საბჭოს აცნობა, რომ მიღებული ცნობებით სამხრეთ საფრანგეთში სრული მშვიდობიანობაა.

სტამბოლი. რუსი ელჩი შეეკითხა ოსმალოს მთავრობას ბითლისის ვილაეტში მომხდარ ამბების გამო. ელჩმა 12 ივნისს პორტის მომერანდუმი გადასცა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოყვანილია რუსეთის ბითლისელ კონსულის მოხსენება. ბითლისში თურმე, როგორც რუსეთის ქაურო რუსის კონსული იუწყება, სრული ანარქია. ბევრი სოფელი განადგურებულია, სომხის ბრბოებსა და ოსმალეთის ჯარს შორის ხშირი შეტაკება ხდება. გუბერნატორი მძიმედ დაუჭრიათ, პოლიციის კომისარი მოუკლავთ; ტელეგრაფი შეიხვეს დაუჭრიათ, ჯარი საკმაო არ არის, ხალხი თხოულობს გუბერნატორის გაწვევას. მემორანდუმში შეკითხვაა, რა ზომები მიიღო პორტამ საზოგადოდ არეულობის ჩასაქრობად და კერძოდ რუსის საკონსულოს უხრუნველ-საყოველად. 13 ივნიის ოსმალეთის მთავრობამ მისწერა რუსეთის ელჩს: ბითლისში ჯარი გავგზავნეთ, ბრძანება გავეცით წეს-რიგის აღსადგენად და საქმის გამომძიებაც დავნიშნეთო.

ლიზაბონი. «ოკულო»-ს სიტყვით, პოლიტიკურ პარტიის მეთაურებმა, დეპუტატებმა და პერებმა გადასწყვიტეს მოიწვიონ კონგრესი კონსტიტუციის გადასინჯავად.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა მიიღო უმაღლესი ბრძანება, რომ, თანახმად 1894 წლის 8 აპრილის კანონისა, გამოსცეს 4% სახელმწიფო რენტა 50 მილიონის მანეთისა ჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად და მოუსავლობით დაზარალებულთა შესაწევად. მინისტრთა საბჭომ მიანჭა ცარსკოე სელოს, პეტერგოფის და გატჩინოს სასახლეთა მმართველობის უფროსებს და შავლოვსკის გამგეს გრადონაჩალნიკის უფლებანი.

მოსკოვი. პოლიციას უნდოდა ალექსანდროვის ბაღში მძარცავთა ბრბოს დაეჭირა. მძარცავები გაიქცნენ და თან სროლა ასტეხეს. ერთმა მათგანმა თავი მოიკლა. ოთხი შეიპყრეს. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა ერთი მეეტლე, მდვდლის ქალი, ნაფიც ვექილის შმაკოვის ვაჟი და მოსკოვის კორპუსის კადეტი.

პეტერბურგი. 14 ივნისს, სადამოს 8 საათზე, კავკასიონ ნამესტნიკი გრ. ვორ. დაშკოვი წავიდა თავისს მამულში მოურშმანსკის მაზრაში.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

განცხადებანი

ბატონ მიხეილ ვოვლიძეს
(პასუხად)

«ისრის» მე-126 №-ში დაბეჭდილია ჩემდამომართ თქვენი წერილი, რომლითაც თავიდან ბოლომდის ხარბად ექომაგებით ბ-ნ სევასტი გაჩეჩილაძეს. მართალია, «ამქარმა» თავის კაცს მხარი უნდა დაუჭიროს, მაგრამ რატომ ერთხელ არ დაფიქრდით, ბატონო მიხეილ, რა ფასი უნდა ექმნეს კომისიის მოწმობას სევასტის სასარგებლოდ და ან ბატონ სევასტის მოწმობას კომისიის სასარგებლოდ?! მე და ბ-ნ სევასტი გაჩეჩილაძემ ავირჩიეთ მედიატორეები, რომელნიც გამოარკვევენ ბ-ნ ს. გაჩეჩილაძის მოქმედებას და გზა და გზა კომისიის წევრთა ავ-კარგსაც. ამთში რომელიც აღმოჩნდება მადლობის ღირსი —მადლობას ეტყვიან და დაგმობის ღირსს დაჰგმობენ!.. 5 თებერვალს 1907 წელს ამხანაგობის სტამბაში შევიყარენით სულ ცამეტი კაცი ვერაზე მაკაროვის ადგილის «ახალშენის» კომისიის თუ გამგეობის ასარჩევად. ავარჩიეთ იმ დამსწრე ცამეტ კაცში ექვსი და გარეშეც სამი. სახელდობრ: სევასტი გაჩეჩილაძე, ვანო გაჩეჩილაძე, სვიმონ კუბულაშვილი, გიგო ზაზიაშვილი, ვანო შუბაშვილი, მიხეილ გოგლიძე, ბაგრატ თოროზოვი, ისაკ ბახტაძე და შიო ქუჩუკაშვილი (ეს უკანასკნელი სამი კრებას არ დასწრებია). აქედან ის გამოდის, რომ შვიდს ამოგვირჩევია ცხრა კაცი (არჩეულები რომ ანგარიშში არ მივიღოთ). ორ თვეში ადგილის მონაწილეთა რიცხვი ექვსას კაცს ღემატება. ამ ცამეტ კაცისაკან არჩეული კომისია რატომ ამ ექვსას კაცის კრებულს არ შეეკითხა ხარჯების შესახებ? ცამეტ კაცს კიდევაც რომ მოეცა დახარჯვის უფლება, ექვსასი კაცისათვის, რომელიც შემდეგ ჩაეწერა, სავალდებულო მაინც არ იქნებოდა. თქვენ ბრძანებთ, არჩევნების წინა დღეებში ორმოც კაცამდის სტამბის მუშამ მოიყარა თავი და იმათ დაგვასახლესო. არც ეს მესმის—ჯერ ერთი საეჭვოა, რომ 40 კაცამდის იყოს და მეორე ორმოც კაცის დასახელებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუ ის ცამეტი კაცი არ აგარჩევდათ. ყოველ შემთხვევაში უნდა გესმოდეს, რომ ექვსასი კაცი ორმოცზედაც მეტია და ასზედაც.

ბრძანებთ ხუთი თვეა მას აქედ, რაც ბ-ნ სევასტი გაჩეჩილაძეს ჯამაგირი დაუნიშნეთო და სხვა ხარჯებსაც ვეწევითო და რატომ აქამდის არა სთქვით-რაო. იმიტომ რომ აქამდის ვერ გავიგე და განა ახლა კი „ვადა“ გავიდა და უფლება აღარა გვაქვს ვთქვათ რამე? აბა ეგ სადაურია?! ბძანებთ: თუ პირადი ანგარიში გაქვთ სევასტისთან, იმას გაუსწორდით, კომისიასთან რა გინდათო. დარწმუნდით, ბატონო მიხეილ: ჩვენ პირადი ანგარიში არც ბატონ სევასტი გაჩეჩილაძესთანა გვაქვს, არც თქვენთან და არც კომისიის წევრებთან, არც „დასები“ გვყავს (როგორც ეს თქვენ მოგჩვენებიათ), არც ვცდილობთ დასების შედგენას, არც „ახალ შენის“ საწინააღმდეგო გვაქვს რამე ჩვენს სულსა და გულში. ამისათვის გირჩევთ, ესეთი ეჭვებით შეპყრობილი ავადმყოფობა თავიდან მოიშორეთ და თქვენი ადლითა და ალაბიო სხვებს ნუ ზომავთ. დარწმუნდით, ბატონო მიხეილ, ჩვენი ერთად ერთი სურვილი ის არის, რომ მაკაროვების მიწის „ახალშენის“ ავ-კარგი გამოვარკვიოთ და ჩვენ მიერ არჩეული კაცები ნამდვილის თავის სახით დავინახოთ, რომ ახალ შენის საქმე უფრო კარგადა და უკედ წავიდეს წინ.

დასასრულ, წინადადებას ვაძლევთ ჩვენ მიერ არჩეულ „ახალშენის“ კომისიას, დაუყოვნებლად შეადგინოს შემოსავალ-გასავლის დაწვრილებითი ანგარიში ამხანაგების საცნობად: სად რა დახარჯულა, რაში, კიდევ რა ხარჯები მოგველის, როდის რამდენი შემოვიდა და ვის როდის რამდენი მოეცა ფული, დანარჩენი ფული სად ინახება და სხვა. ეს უნდა იქმნეს დაბეჭდილი ცალკე ფურცლებად, რომ ყველა ამხანაგს შეეძლოს წაიღება და გულდასმით გაგება თავის საქმისა და შემოწმებაც.

(1—97—1) **სოსიკო მერკვილაძე.**

შეცდომა.

„ისარი“-ს მე-127 ნომერში დაიბეჭდა ლია წერილი, რომელიც იყო გ. მართაგაძეს მიმართ. ამ წერილში შემდეგი შეცდომებია: ნათქვამი იყო—„გ. კალანდაძემ გამოუგზავნა წერილი „გრიგალის“ რედაქციას“; უნდა იყოს—„ბალანჩივაძემ და ნეოფიტე ხუნდაძემ გამოუგზავნა“. იყო—„მოწმეებად ასახელებთ ვ. ბალანჩივაძეს, ნეოფიტე და გრიგოლ ხუნდაძეებს“; უნდა იყოს—„ნეოფიტე ხუნდაძეს და გრიგოლ ღლონტს“.

(1—128—1)

საბურთალოზე
მაკაროვის მამულის გვერდით
იყიდება დიდი ბაღი
ნაჩრბდ, თითო ნაჩერი 250—300 ოთხკუთხ საჟენამდის. პირობების გაგება შეიძლება ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (2—14—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.
საჭიროა
თანამშრომელნი ორისა
ვე სქესისა
საქმოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფულ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მახძიდს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვუიდით. ბირობებს უფასოდ უგზავნით.
პირველი კავკას. ამხანაგობა
მსწრაფულ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—31)

მხოლოდ იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ
კეფირი
ო. კოროლნისა
კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.
ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს
ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.
5 აპრილიდან მზადდება
კუმისი
მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხალ.—30) პატივ. **ო. კოროლნა.**

პირველი ევრიმი სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონეჟის ძველი ბილიოთეკა)
ამბულატორია
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
კ. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვების.
ბ. ვ. ავეტიზიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. **ბ. ბუგანოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ვ. ი. ბოლიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვრისა და ყელისა.
ა. ბ. ბარაბეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
ბ. ი. ბურგენოვი; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მკდიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—94)

კლინიკა
კბილის ავადმყოფობისა
ლ. შტრეიხერისა
კბილის საექიმო სკოლასთან
ერევნის მოედანი (პუშკინის ქ. 3).
ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9 დან 1 საათამდე

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოდ	20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . .	20 „
კბილის გაწმენდა	50 „
„ „ არის უფრო ძვირიც	
პლომბა გუდაპერჩისა	50 „
„ „ ცემენტისა. . . . . 1 მ.	
„ „ მეტალიური. . . . 1 „	
„ „ ვერცხლისა ამალგამ. 1 „	50 „
„ „ ემალისა . . . . . 1 „	50 „
„ „ ფაი ფურისა . . . . 3 „	
„ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე.	
„ „ წმინდა ოქროსი. . . 3 „	
„ „ უფრო ძვირიც.	
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:	
„ „ დიოტორიტიული. . 1 „	
„ „ კრამპონისა . . . . 1 „	50 „
ხელოვ. კბილ. კაუჩუპზე ოქროს კავებით:	
„ „ თითო კავი . . . . 1 „	
შტიფტის კბილები ოქროზე . . 3 „	
კოორონკა ლოგანისა . . . . . 4 „	
კოორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ	
ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . 1 „	
საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ	
აპარატი კბილების გასასწორებლად	
ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ.	
და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ.	

(100—ბუხ.—3)

კურსები კავკასიაში.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი
ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები
გ. ა. პირაკოვისა
(ბათუმი, მორსკაია № 11)
ამ კურსებზე ორისავე ქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამშაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.
კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ. კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები.
(10—124—3)
ერთად-ერთი — ერის სასტვენის პროგრამაში
რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ

გაფრთხილება
სავაჭრო სახლის
ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვ.
თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)
რადგან ღღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების **„სიმპატია“** 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც. 5 კაპ., აგრეთვე № 7/16—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას


(10—130—3)
და ეეარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და შვ.**
ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ.

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.